პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 227 (6282)

1978 წ.
21 ნოემბერი. სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესია 1978 წლის 20 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1978 წლის 17 ნოემბერი.

სტარტებზე — მთელი ოჯახით!

კვირადღეს სამართლიანად უწოდებენ კვირეულის ყველაზე სპორტულ დღეს. ერთნი მთელი ოჯახებით მიემგზავრებიან ტურისტულ ლაშქრობაში, სხვები — თუკი თოვლია, ამჯობინებენ საინტერესო გასეირნებას, დანარჩენები გამოდიან ფეხით სასეირნოდ, მიდიან აუზებზე, სტადიონებზე, სპორტულ ბაზებზე, სათამაშო მოედნებზე სავარჯიშოდ, ბაღებსა და პარკებში ნახავთ „ოჯახურ გუნდებს" — სხვადასხვა სპორტულ სახეობათა თაყვანისმცემლებს.

ფიზიკური კულტურა ახალი ადამიანის ჰარმონიული აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაა. სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ისინი, ვინც აქტიურად ატარებენ დასვენების დროს, გამოირჩევიან კარგი ფიზიკური წრთობით, მაღალი შრომის ნაყოფიერებით, დისციპლინით, უფრო კარგადაც სწავლობენ. ჩვენს ქვეყანაში სპორტის მიმდევართა რიგები ყოველწლიურად იზრდება და ვინც საკუთარი გამოცდილებით შეიგრძნო ფიზკულტურის სიკეთე, ცდილობს ამ საქმეში ჩააბას ახლობლები, განსაკუთრებით ადრეული ასაკის ბავშვები.

როგორც ყველა საქმეში, აქაც ბევრს ნიშნავს პირადი მაგალითი. როცა მშობლები დილის ტანვარჯიშს ასრულებენ, როცა შინ ველოსიპედი და თხილამური უქმად არ აწყვია, უეჭველია, რომ ვაჟი ან გოგონა სპორტისადმი გულგრილი არ იქნება. ამ შემთხვევაში უმჯობესდება მათი ჯანმრთელობა, მაღლდება სასკოლო ნიშანი არა მარტო ფიზკულტურაში. შემთხვევითი არაა, რომ შეჯიბრება — „მამა, დედა და მე — სპორტული ოჯახი" — ჭეშმარიტი ზეიმია უფროსებისა და ბავშვებისათვის.

ამ დევიზით გამართულ მასობრივ შეჯიბრებათა პოპულარობაზე ლაპარაკი ზედმეტია. კარგად იქცევიან ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებიც მსგავსი ტურნირების ახალ ფორმებს ეძებენ. ყაზანში, მაგალითად, მოწონება ხვდა წილად სპორტულ ზეიმს — „მთელი ოჯახით სტარტზე!". სევასტოპოლელებმა შეიყვარეს „ჯანმრთელობის სპარტაკიადა", რომელშიც ყველას შეუძლია გამოვიდეს. ბევრი ასეთი შეჯიბრება ეწყობა ესტონეთში, სადაც ნახევარი წლის შედეგების მიხედვით 10-დან 60 წლამდე მოსახლეობის 39 პროცენტი მშდ ნიშნოსანი გახდა. ამ ძვირფასი გამოცდილებით უნდა ისარგებლონ საქართველოსა და თურქმენეთში, ხაბაროვსკის მხარეში, იაროსლავის, ირკუტსკისა და მთელ რიგ სხვა ოლქებში, სადაც საოჯახო სტარტები იშვიათობას წარმოადგენს.

აქტიური საკვირაო დასვენების ორგანიზაცია ბევრადაა დამოკიდებული ფიზკულტურული კოლექტივების, სპორტის ადგილობრივი კომიტეტების ინიციატივაზე. შეჯიბრებათა კალენდარში ხშირად უნდა ჩავრთოთ საოჯახო გამოსვლები სარბენ, სათხილამურო და ყინულის ბილიკებზე, საკოლმეურნეო და საამქროთა ტურნირებში მოვიწვიოთ ბავშვთა გუნდები — დე, თავდაპირველად ბავშვებმა ტრიბუნებიდან გაუწიონ გულშემატკივრობა უფროსებს, შემდეგ კი ისინი თვითონ გამოცდიან ერთმანეთის ძალას. მშდ ნორმატივების ჩაბარებისას მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ უფროსებისა და ნორჩების ერთობლივი შეჯიბრებები. ნიშნოსანთა მასობრივი მომზადების მსგავსი ფორმები, როგორც წესი, არ იგეგმება, „ოჯახური გუნდები" ჯერ კიდევ მშდ კომპლექსის კომისიების ყურადღების გარეშე რჩება.

ოჯახების ფიზკულტურაში მეცადინეობის საუკეთესო ადგილი საცხოვრებელ მასივებში მოწყობილი სპორტული მოედნები, „ჯანმრთელობის ტრასები" ანუ უახლოეს პარკებში მოთავსებული სათხილამურო ბილიკებია. ყველა ასაკის ადამიანთა ფიზკულტურული საქმიანობისათვის გამოსადეგი ასეთ მარტივ ნაგებობათა ქსელი ყოველდღიურად უნდა ფართოვდებოდეს. საცხოვრებელ მიკრორაიონებში აქედანვე უნდა მოვამზადოთ ადგილები ბუნებრივ საციგურაოთა და ჰოკეის სათამაშო მოედნებისთვის, მოვაწყოთ ახალი სათხილამურო ტრასები, ვიზრუნოთ მათი განათებისთვის, შეჯიბრების გრაფიკი ისე შევადგინოთ, რომ სასასპარეზოდ გამოსვლა შეეძლოთ მოხუცსა და ახალგაზრდასაც.

სკკპ XXV ყრილობამ დაგვისახა მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის აუცილებელი განვითარების ამოცანა არა მარტო წარმოებებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, არამედ მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებშიც. ამ საკითხებისადმი მიძღვნილი მთელი რიგი რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე სერიოზული ყურადღება დაეთმო მიკრორაიონებში სპორტული ბაზების გაფართოების საკითხს. როგორც საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ფიზკულტურულ მასობრივი მუშაობის საკავშირო დათვალიერება-კონკურსმა გვიჩვენა, ამ მხრივ ბევრი გაკეთდა გომელში, ლვოვში, პერმში, კიროვო-ჩეპეცკში, არსენიევში და სხვა ქალაქში. 60 ათასზე მეტი ეზოს მოედნების გარდა, ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს 15 ათასი „ჯანმრთელობის ოთახი" და სპორტული მეცადინეობისათვის განკუთვნილი დარბაზი. ყურადღებას იმსახურებს ქალაქ ბაქოს ნარიმანოვის რაიონის გამოცდილება, სადაც საწარმოთა და დაწესებულებათა მონაწილეობით აიგო სასპორტო გამაჯანსაღებელი ცენტრი სტადიონით, აუზით, სათამაშო და სხვა მოედნებით. მაგრამ მსგავს ნაგებობათა ქსელი ჯერჯერობით ნელი ტემპით იზრდება. მაგალითად, კიშინიოვის, ტიუმენის, ვლადივოსტოკის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ მიკრორაიონების აგებისა თუ რეკონსტრუქციის სამუშაოთა ჩატარების დროს მშენებლებმა აუცილებლად გაითვალისწინონ სპორტულ ნაგებობათა მწყობრში ჩადგომაც.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საქმე კარგად მიდის იქ, სადაც პარტიულ კომიტეტებს თავიანთი ყურადღების არედან არ რჩებათ მშრომელთა და მათი ბავშვების მასობრივი დასვენების ორგანიზაცია, სპორტის განვითარებისათვის პასუხისმგებელი კომუნისტების საქმიანობას უნარიანად წარმართავენ და აკონტროლებენ. ბაშკირეთის საოლქო კომიტეტი, მინსკის საქალაქო კომიტეტი და ბევრი სხვა პარტიული კომიტეტები სულ უფრო ფართოდ იზიდავენ აქტივს ამ საკითხების გადასაწყვეტად.

ხდება ხოლმე, რომ არის მოედნები, საბინაო-საექსპლოატაციო კონტორებთან შექმნილია სექციები, მაგრამ აკლიათ მწვრთნელები, ინსტრუქტორები. აქ აქტიური როლი უნდა შეასრულონ სპორტსაზოგადოებებმა, ფიზკულტურის ინსტიტუტებმა, რომლებმაც საცხოვრებელ ადგილებში სამუშაოდ უნდა მიავლინონ შეფები — სპორტის ოსტატები და პირველთანრიგოსნები. სპორტკომიტეტები, პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭო მოწოდებული არიან მეტად იზრუნონ მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის განვითარებისათვის, შეჯიბრებებში, მშდ კომპლექსის ნორმატივებში სავარჯიშოდ ყველა ასაკის ადამიანების მიზიდვისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის მოყვარული ათობით მილიონია, დე, გაიზარდოს საოჯახო სტარტების რიცხვი, დე, ყველა მის მონაწილეს თან ახლდეს წარმატება!

ПРАВДА 19 ნოემბრის მოწინავე



პირველი გამარჯვება

შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში — სოჭში, ადლერში, სოხუმსა და ბათუმში სტარტი აიღო ახალგაზრდა ფეხბურთელთა პირველმა საკავშირო ჩემპიონატმა (მოთამაშეთა ასაკი — 20 წლამდე), რომელსაც „გადასასვლელი" ეწოდა.

საქართველოს ნაკრებს, რომელიც ადლერში ასპარეზობს (II ზონა), პირველი მატჩი ჰქონდა თურქმენეთის გუნდთან. ჩვენმა ფეხბურთელებმა (მწვრთნელები ვ. ელოშვილი და ა. ზაზროევი) გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0, ამასთან სამივე გოლი გაიტანა ბოლქვაძემ. ამავე ჯგუფში მოლდაველებმა მოუგეს ესტონელებს — 1:0.

სურათზე: ინსტიტუტის მძლეოსნები ახალ მძლეოსნურ მანეჟში.

კ. სალუქვაძის ფოტო.

ღირსშესანიშნავი თარიღი



ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა სამჭედლოს — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაარსებიდან 40 წელიწადი გავიდა. ოთხი ათეული წელიწადია ეს უმაღლესი სასწავლებელი ფიზკულტურის მასწავლებლებს და მაღალკვალიფიციურ მწვრთნელ-აღმზრდელებს ამზადებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში.

სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 18 ნოემბერს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის რექტორმა, დოცენტმა ა. მელიამ. სიტყვებით გამოვიდნენ: ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი თ. პაიჭაძე, საკავშირო სპორტკომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. რომანოვი, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხ. ჯაიანი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი რექტორი თ. სხირტლაძე, მოსკოვის ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის პროფესორი ვ. მატვეევი, სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი გ. ტოპოლიანი, აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის პრორექტორი ფ. მუხსალოვა, ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის პრორექტორი გ. ჯანგაროვი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. იოსელიანი, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ო. კალაძე, „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ა. გიორგობიანი და სხვები.

ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა დიდ ჯგუფს საიუბილეო მედლები გადაეცა.

●

(საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის შესახებ მასალები იხილეთ მე-2 გვერდზე).

ფიზკულტურული და სპორტული კადრების სამჭედლო



საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი 40 წლისაა

ცოტა რამ ისტორიიდან

...ეს იდეა — საქართველოში ფიზკულტურული კადრების მოსამზადებელი ცენტრის შექმნისა, თავისთავად არავის მოსვლია თავში. ეს დროის კარნახი იყო, თუ გნებავთ, დროის მოთხოვნა და მას წინ რაღა გადაუღგებოდა. მითუმეტეს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდგომი პერიოდი იყო, რევოლუციისა, რომელმაც საბჭოთა ადამიანებს ნათელ მომავალთან ერთად, შრომის, სწავლისა და დასვენების დიდებული პირობები დაუმკვიდრა. და მაშინ დღის წესრიგში დადგა ადამიანის ჰარმონიული განვითარების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვისთვის მკვიდრი საფუძვლის შექმნის საკითხი. ამისთვის კი, ბუნებრივია, სპეციალისტი იყო საჭირო — მცოდნე, განათლებული, ერუდირებული.

პირველი ნაბიჯი 1931 წელს გადაიდგა, როცა თბილისში ფიზიკური კულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ხოლო ცოტა მოგვიანებით, 1933 წელს, ფიზკულტურის ტექნიკუმი გაიხსნა. იმავე პერიოდში ბაქოში მუშაობას შეუდგა ამიერკავკასიის ფიზკულტურის ინსტიტუტი, სადაც აზერბაიჯანელ და სომეხ თანატოლებთან ერთად, ქართველი ახალგაზრდებიც სწავლობდნენ.

და აი, 1935 წელი. რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა ფიზკულტურის განყოფილება, რომელიც მალე გადაკეთდა ფიზიკური კულტურის ფაკულტეტად.

სწორედ ამ ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, რომლის ისტორიაც 1938 წლის მარტიდან იწყება. ინსტიტუტის პირველ რექტორად თ. სხირტლაძე აირჩიეს. მათ შორის, ვინც ფიზკულტურისა და სპორტის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადების საქმეში პირველი ხნული გაიყვანა, უნდა დავასახელოთ პედაგოგები: ს. ნარიკაშვილი, ე. ფანცხავა, ს. წერეთელი, ბ. ანთელავა, ვ. კუზნეცოვი, ჩ. ჩიკვაიძე, ლ. ფალავანდიშვილი, ა. წერეთელი, ა. ჯორჯაძე, შ. გორგაძე, ლ. გელოვანი, გ. მერკვილაძე, ვ. ქველიძე, გ. ევნატიშვილი, მ. რცხილაძე, ა. გვალია, ვ. სამსონაძე, გ. დოლიძე, ა. რატია, ვ. ჯაფარიძე, თ. კახიძე, ლ. ანთაძე, ლ. გიორგაძე, შ. კილაძე, რ. სიმონიშვილი, ლ. ციციშვილი...

ყოველ ახალ საქმეს თუ წამოწყებას, ჩვეულებრივ, სიძნელეებიც ახლავს თან. ამ მხრივ გამონაკლისი არც ამ უმაღლესი სასწავლებლის პირველი ნაბიჯები ყოფილა. ინსტიტუტი ორთაჭალაში, მტკვრის სანაპიროზე ერთ-ერთი ქარხნის სახელდახელოდ გადაკეთებულ შენობაში მოთავსდა. სწავლა-მეცადინეობის პირობები ერთობ უხეირო იყო, არ ყოფნიდათ აუდიტორიები და საჭირო ინვენტარ-აღჭურვილობა, ინსტიტუტს არ გააჩნდა საკუთარი სპორტული ბაზა, ლაბორატორიები და სასწავლო კაბინეტები. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს აფერხებდა სასწავლო პროცესის ნორმალურად მიმდინარეობას.

დიდი სამამულო ომის მძიმე პერიოდში სტუდენტთა და მასწავლებელთა დიდი ნაწილი ფრონტზე გაიწვიეს. ბევრმა მათგანმა გამოიჩინა თავი ბრძოლის ველზე: ინსტიტუტის სტუდენტს ვახტანგ ლეჟავას საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა.

ომისშემდგომ წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ინსტიტუტის ცხოვრებაში. 1955 წლიდან ეს უმაღლესი სასწავლებელი გადავიდა ახალ, კეთილმოწყობილ შენობაში. შეიქმნა სწავლისა და წვრთნა-ვარჯიშის ნორმალური პირობები.

დღე დღევანდელი, დღე ხვალინდელი

რაც დრო გადის, სულ უფრო იზრდება ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობა. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში იგი სოციალური პროგრესის მძლავრი იარაღი გახდა. ადამიანზე ფიზიკური კულტურისა და სპორტის ზემოქმედების ფორმა მრავალსახოვანია — იგი აყალიბებს ჩვენს ფსიქიკას, წვრთნის ხასიათსა და ნებისყოფას, გვაკეთილშობილებს, შეუპოვარს, მამაცსა და მოხერხებულს გვხდის, მაგრამ იგი პირველ რიგში მოწოდებულია ადამიანს სიჯანსაღე, სიხალისე და სიმხნევე მოუტანოს, ფიზიკურად გამოაწრთოს, ჰარმონიულად განავითაროს და სიცოცხლე გაუხანგრძლივოს. რა თქმა უნდა, საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებასაც უნდა გაუწიო ანგარიში, თუმცა საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისთვის რეკორდების დამხობა და მაღალი სპორტული შედეგების მოპოვება თვითმიზანი არასოდეს ყოფილა. ფიზიკური კულტურა და სპორტი, როგორც წესი, ხალხის, ათასებისა და მილიონების ჯანმრთელობის სამსახურში უნდა იდგეს. ამიტომაა, რომ ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვა-განვითარება პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვითაა გარემოცული. ამაზე მეტყველებს საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციაც, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფო ზრუნავს მასობრივი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარებისთვის. ეს ფაქტი ერთიორად ზრდის ამ დარგის მუშაკთა ავტორიტეტსა და პასუხისმგებლობას. ამდენად, ფიზკულტურის ინსტიტუტის წინაშე მეტად საპატიო ამოცანა დგას — ყოველმხრივ განათლებული და ერუდირებული, მაღალკვალიფიციური და პარტიის საქმისადმი ერთგული სპეციალისტის აღზრდა. სწორედ ნოვატორი და შემოქმედი პედაგოგები და მწვრთნელები სჭირდება ჩვენს სკოლებს, სასწავლებლებს, წარმოება-დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, მთელ ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას. ამიტომ ბუნებრივი და სამართლიანია ის მოთხოვნები, რასაც თვით ცხოვრება უყენებს რესპუბლიკის ფიზკულტურის ინსტიტუტს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

ჩვენს ინსტიტუტს, ჩვეულებრივ, ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტთა, მწვრთნელ-მასწავლებელთა სამჭედლოს უწოდებენ და სამართლიანადაც; გასული ორმოცი წლის მანძილზე ამ უმაღლეს სასწავლებელში 6500-ზე მეტი კვალიფიციური სპეციალისტი მომზადდა, რომელთა უმრავლესობა წარმატებით მუშაობს ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც. ინსტიტუტის რექტორატი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მრავალფეროვან მუშაობას ეწევიან სტუდენტთა ყოველმხრივი აღზრდისათვის, მათი იდეურ-პოლიტიკური მომზადებისათვის. აღმზრდელობით მუშაობაში გათვალისწინებულია ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ახალი წლის დაწყებისადმი მიძღვნილი საზეიმო მიტინგი, სტუდენტურ დღეებში და შეკრებებში მონაწილეობა, ტრადიციული საკავშირო ტურნირი ჩოგბურთში ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტის, საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ლეჟავას პრიზზე, ამიერკავკასიის ფიზკულტურის ინსტიტუტების მოჭიდავეთა სამატჩო შეხვედრა, მონაწილეობა სტუდენტთა რესპუბლიკურ და საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებში. ამასთან ერთად, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტი ყოველწლიურად აწყობს ინტერნაციონალურ საღამოებს, რომლებშიც ადგილობრივ სტუდენტებთან ერთად საზღვარგარეთელი სტუმრებიც მონაწილეობენ.

* * *

ინსტიტუტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სპორტულ მუშაობას. სპეციალურ ჯგუფებსა და სექციებში, ქალაქის, რესპუბლიკის თუ ქვეყნის ნაკრებ გუნდებში სისტემატური მეცადინეობა და წვრთნა-ვარჯიში სტუდენტებს ეხმარება აიმაღლონ თავიანთი სპორტული ოსტატობის დონე. ამავე დროს მიიღონ ღრმა ცოდნა — თეორიული მომზადება შეუხამონ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას. რადგან სპორტული ოსტატობის ამაღლებაზე ჩამოვარდა სიტყვა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ საქმეს მნიშვნელოვნად აფერხებს საჭირო სპორტული ბაზების უქონლობა. მართალია, 40 წლის მანძილზე ინსტიტუტს მრავალი მშვენიერი სპორტული ნაგებობა შეემატა — ფეხბურთის სტადიონი და მძლეოსნური სექტორი, ტანვარჯიშისა და სპორტული თამაშების ორ-ორი დარბაზი, ჩოგბურთის კორტები და სხვა, მაგრამ როგორც ჩანს, არსებული ბაზა მთლიანად ვერ აკმაყოფილებს ახალ, გაზრდილ მოთხოვნებს, რის გამოც პრაქტიკული მეცადინეობის დონე ხშირად სასურველზე დაბალია.

უკანასკნელ პერიოდში ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა; ინსტიტუტის ტერიტორიაზე ჯერ ფარიკაობის დარბაზი გაიხსნა, შემდეგ კი დიდებული მძლეოსნური მანეჟი. დასასრულს უახლოვდება 25-მეტრიანი ღია საცურაო აუზისა და საჭიდაო დარბაზის მშენებლობა. მალე დაიწყება სამდარბაზიანი სპორტული კომპლექსის მშენებლობაც. მოკლედ, უახლოეს ხანში ფიზკულტურის ინსტიტუტი მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი ყველა სახის სპორტული ბაზით.

სპორტული მომზადება ფიზკულტურისა და სპორტის მომავალი სპეციალისტის ჩამოყალიბების ერთი მხარეა. ამასთან ერთად, თანამედროვე პედაგოგსა და მწვრთნელს მოეთხოვება ფიზიკური კულტურისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის ღრმა ცოდნა, ანატომიის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, ბიოქიმიის, ბიომექანიკისა და სხვა მეცნიერებების საფუძვლების დაუფლება. ერთი სიტყვით, მრავალმხრივი პრაქტიკული მომზადება ღრმა თეორიული ცოდნით უნდა იყოს განმტკიცებული.

ამჟამად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სამ ფაკულტეტზე (პედაგოგიური, სპორტის გამოყენებითი სახეობების, სპორტის მასობრივი სახეობების) 1600-მდე სტუდენტი სწავლობს. მათ აღზრდას 166 პროფესორ-მასწავლებელი ემსახურება. სტუდენტების განკარგულებაშია კეთილმოწყობილი აუდიტორიები, თანამედროვე ტექნიკური სასწავლო ლაბორატორიები და მეთოდური კაბინეტები, სარეაბილიტაციო ცენტრი.

როგორც ჩვენი ქვეყნის ბევრ უმაღლეს სასწავლებელში, 1974 წლის საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტშიც გაიხსნა საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტი. მის სხვადასხვა განყოფილებებში თავისუფლად სწავლობენ სტუდენტები, რომლებიც მომავალი მწვრთნელები და პედაგოგები ძირითადი პროფესიასთან ერთად დამატებით სპეციალობასაც ეუფლებიან.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობს:

1600-მდე სტუდენტი, მათ შორის:

9 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი;

136 სპორტის ოსტატი;

252 ოსტატობის კანდიდატი;

9 მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი;

39 სსრ კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი;

38 საქართველოს ჩემპიონი და პრიზიორი;

279 სტუდენტი-სპორტსმენი სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდების წევრია.

სტუდენტთა აღზრდასა და პროფესიული დაოსტატების საქმეს ემსახურება:

20 კათედრა;

166 პროფესორ-მასწავლებელი. მათ შორის:

7 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

29 მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;

9 საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე; **6** სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი;

3 სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი;

18 საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

გვერდი მოამზადეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის სპორტულ ჟურნალისტთა განყოფილების სტუდენტებმა.

●

სურათებზე: ზემოთ (მარცხნიდან) — ჭიდაობის სპეციალიზაციის მესამე კურსის სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობაზე; ინსტიტუტის კალათბურთელი გოგონები და მათი მწვრთნელები ქ. ბეთანელი და ა. კაზანჯიანი ვარჯიშის დაწყების წინ. ქვემოთ (მარცხნიდან) — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მ. ჭანტურია პირველკურსელებს ანატომიაში სემინარულ მეცადინეობას უტარებს; ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. თევზაძე (მარჯვნივ) და ლაბორანტი შ. ქუჯავა ველოერგომეტრზე ცდების ჩატარებისას.

[illegible] ფოტოები.

მოსკოვი — XXII თამაშების სარბიელი

მასპინძლების გვჯერა

ვილი დაუმე გმობს ფიფა-ს გადაწყვეტილებას

— დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვის ოლიმპიური თამაშები წარმატებით ჩატარდება, — ამას წინათ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრმა ვილი დაუმემ (გფრ), რომელიც ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის სპორტკომიტეტმა მოიწვია. — მე მაქვს ასეთი დიდი შეჯიბრებების ორგანიზებაში მონაწილეობის გამოცდილება, ვხელმძღვანელობდი ოლიმპიადა-72-ის საორგანიზაციო კომიტეტს და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მოსკოვში ყველაფერი კარგად მიმდინარეობს და როგორც სოკ-ის წევრი, დამშვიდებული ვარ.

სსრ კავშირში ყოფნისას, დაუმე ეწვია არა მარტო მოსკოვს, არამედ იყო ტაშკენტში, სამარყანდსა და ბუხარაში. როგორც დაუმემ აღნიშნა, მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უზბეკეთში ბალახის ჰოკეის პოპულარობამ. დღეს უკვე შეიძლება საკითხის დასმა უზბეკეთსა და გფრ-ს შორის ჰოკეის სპეციალური კავშირის განვითარების თაობაზე, — თქვა დაუმემ. — ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ სსრ კავშირსა და გფრ-ს შორის სპორტული დელეგაციების გაცვლა ძალიან ხშირია“.

სპორტკომიტეტში საუბრისას განხილული იქნა სსრ კავშირისა და გფრ-ის სპორტსმენთა ერთობლივი შეკრებების ჩატარებისა და სპორტულ მედიცინასა და სპორტულ მეცნიერებაში თანამშრომლობის საკითხები.

პრეს-კონფერენციაზე ვ. დაუმეს მიმართეს შეკითხვებით. კერძოდ, სოკ-სა და ფიფა-ს (რომელმაც გადაწყვიტა ოლიმპიადაში არ დაუშვას მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში მონაწილე ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ფეხბურთელები) შორის წამოჭრილი უთანხმოების გამო.

— ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ 1980 წლის ოლიმპიური ტურნირის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის არჩეული გზა არასწორია, — განაცხადა დაუმემ. — ფიფა-ს ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სოკ-ის წესებს. ფიფა-მ უნდა გადაწყვიტოს ტურნირის ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები. რაც შეეხება მთელი რიგი კონტინენტების სპორტსმენთა დისკრიმინაციას, ეს სულაც არ არის ტექნიკური საკითხი. მოყვარულის სტატუსის განსაზღვრა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმეა და არა საერთაშორისო ფედერაციისა.

დაუმემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ფიფა-ს პრეზიდენტის ავალანჟის მუქარას, ოლიმპიურ ჩარჩოებში საფეხბურთო ტურნირის ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ, ფიფა-ს წევრთა უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს.

საკვალიფიკაციო ტურნირის წილისყრის თაობაზე დაუმემ განაცხადა, რომ უნგრეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის ძლიერი გუნდები საბოლოოდ ბრმა წილისყრას რომ შეხვედრებინა ერთად, შეიძლება სინანული ბედის მიმართ გამოეთქვა, მაგრამ ფიფა-ს ხელმძღვანელებს აქვთ გამოცდილება ასეთი ტურნირების წილისყრის ჩატარებისა, როცა ახერხებენ ძლიერი გუნდების განთესვას.

თითოეული უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში, — განაცხადა დაუმემ. — ჩვენ ვაღიარებთ, რომ ფიფა-ს ხელმძღვანელები ეძებენ დიდი შეჯიბრებების ჩატარებასთან დაკავშირებული პრობლემების სამართლიანი გადაწყვეტის გზას. მაგრამ ამჯერად ისინი სტყუიან და უნდა მონახონ ახალი, სამართლიანი გადაწყვეტილება“. (საქდესი).

ოლიმპიური წილისყრა

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მადრიდში მოაწყო 1980 წლის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის წილისყრა.

ევროპაში შექმნილია 4 საკვალიფიკაციო ჯგუფი, სადაც ჩატარდება წინასწარი ტურნირები. აქ გამოვლენილ 2 გუნდს ევროპიდან დაემატება კიდევ 2 — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც ოლიმპიური ჩემპიონი და სსრ კავშირი, როგორც თამაშების ორგანიზატორი ქვეყანა. აფრიკას ფინალში დაეთმო 3 ადგილი, აზიას — 3, ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ზონის ქვეყნებს — 2 და სამხრეთ ამერიკას — 2.

ოლიმპიურ წილისყრას საბოლოოდ ასეთი სახე აქვს:

ევროპა

I ჯგუფი

I ტურში თამაშობენ ჩეხოსლოვაკია — ბულგარეთი, უნგრეთი — რუმინეთი. ამ წყვილებში გამარჯვებულები II ტურში პოლონეთის გუნდთან ერთად გაითამაშებენ ფინალის საგზურს.

II ჯგუფი

ისევე როგორც პოლონელები, იუგოსლაველებიც II ტურიდან ებმებიან გათამაშებაში. მანამდე თამაშობენ იტალია — საბერძნეთი, თურქეთი — ავსტრია.

III ჯგუფი

საფრანგეთის ნაკრები გათამაშებაში ებმება II ტურიდან. მანამდე ერთმანეთთან თამაშობენ ჰოლანდია — ესპანეთი, ისრაელი — ბელგია.

IV ჯგუფი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები თამაშებს იწყებს II ტურიდან. მანამდე გამარჯვებულები უნდა გამოვლინდნენ ნორვეგია — ირლანდიისა და ფინეთ — დანიის შეხვედრებში.

წყვილებში მოხვედრილი მეტოქეები ერთმანეთთან თამაშობენ 2-2-ჯერ. შესარჩევი შეხვედრები ჩატარდება 1979 წლის 1 იანვრიდან 1980 წლის 30 აპრილამდე.

აფრიკა

3 ფინალისტი ამ კონტინენტიდან გამოვლინდება 3 ჯგუფში.

„ა“ ჯგუფი

ალჟირი — მალი, ტუნისი — ლიბია, მაროკო — სენეგალი.

„ბ“ ჯგუფი

ლიბერია — სპილოს ძვლის ნაპირი, გვინეა — სიერა-ლეონე, სუდანი — კენია. განის ნაკრები გათამაშებაში ებმება II ტურიდან.

„გ“ ჯგუფი

ეგვიპტე — ტანზანია, მადაგასკარი — ეთიოპია, ლესოტო — მავრიკია.

აზია

3 ფინალისტი ამ კონტინენტიდან გამოვლინდება 3 ჯგუფურ ტურნირში.

I ჯგუფი

ბაჰრეინი, ერაყი, სირია, იორდანია, კუვეიტი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, იემენი.

II ჯგუფი

ბრუნეი, ინდონეზია, იაპონია, სამხრეთ კორეა, მალაიზია, ფილიპინები და გამარჯვებული ოკეანიის ზონიდან (ავსტრალია — ტაივანი).

III ჯგუფი

ირანი, ინდოეთი, ბირმა, შრი-ლანკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, სინგაპური.

სამხრეთ ამერიკა

2 ფინალისტი ამ ზონიდან გამოვლინდება კოლუმბიაში გამართულ ტურნირში, სადაც მონაწილეობას მიიღებს 2 ჯგუფად დაყოფილი 8 ნაკრები (4-4 თითოეულში). ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ: არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, პერუ, კოლუმბია, ურუგვაი, ვენესუელა, ჩილი.

ჩრდილოეთ, ცენტრალურ ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნები

2 ფინალისტის გამოვლენის საბოლოო დეტალები გაირკვევა მოგვიანებით, ჯერჯერობით კი მონაწილეები წილისყრით დაყოფილი არიან 3 ჯგუფად.

I ჯგუფი

ბერმუდი — კანადა, მექსიკა — აშშ.

II ჯგუფი

კოსტა-რიკა — პანამა, გვატემალა — სალვადორი.

III ჯგუფი

კუბა — იამაიკა, დომინიკანის რესპუბლიკა — ჰაიტი, ანტილის კუნძულები — ტრინიდადი და ტობაგო. ბარბადოსისა და გრენადას წყვილის გამარჯვებული შეხვდება სურინამის ნაკრებს.

მოსკოვის ოლიმპიური ტურნირის ფინალისტთა გამოსავლენი ყველა შესარჩევი შეჯიბრება უნდა დამთავრდეს 1980 წლის 30 აპრილისთვის.

მოსკოვის ოლიმპიადის ფინალური საფეხბურთო ტურნირი დაიწყება 20 ივლისს. 27 ივლისს გაიმართება მეოთხედფინალები, 30 ივლისს — ნახევარფინალები, 1 აგვისტოს — მატჩი III ადგილისთვის და 2 აგვისტოს — ფინალური შეხვედრა. ეს მატჩები ჩატარდება მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და მინსკის სტადიონებზე.

ბოიკოტს უცხადებენ აველანჟის პროექტს

საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში თავის დროზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა ფიფა-ს და, კერძოდ, მისი პრეზიდენტის ჟ. ავალანჟის არაერთგზისმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალისტთა ადრინდელი რიცხვი — 16 ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს და ფეხბურთის შემდგომი განვითარებისთვის საჭიროა ფინალის მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდოს 20 ან 24-მდე. მსოფლიო თასის ამ ახალი ფორმულის სააგიტაციოდ გარკვეული კამპანია იქნა გაწეული, რეფორმას მრავლად ჰყავდა მომხრეც, ოპონენტიც, ხშირად იმართებოდა კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე მადრიდში.

საინტერესოა, რომ ახალი პროექტის ინიციატორი ჟ. ავალანჟი კონგრესამდე ზედიზედ ორჯერ ჩავიდა მადრიდში, გარკვეული წინასწარი საქმიანობა გასწია საიმისოდ, რომ მის წინადადებას საკმარისად ჰყოლოდა მხარდამჭერი ესპანეთშიც, სადაც მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს, და სხვა ქვეყნებშიც.

როცა ჟ. ავალანჟი ფიფა-ს პრეზიდენტად აირჩიეს, მან პირობა მისცა აფრიკისა და აზიის კონტინენტების დელეგატებს საგრძნობლად გაედიდებინა მათი წარმომადგენლობა მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ როგორც ფიფა-ს ოფიციალური ორგანო „ნიუსი“ იუწყება, ამ პროექტში შეტანილი იქნა მნიშვნელოვანი კორექტივები. ახალ პროექტში 24 ადგილი ასეა განაწილებული: 1 ადგილი ეძლევა ჩემპიონატის ორგანიზატორ ქვეყანას, 1 — მსოფლიო ჩემპიონს, 10 — ევროპის წარმომადგენლებს, 3 —სამხრეთ ამერიკას, 1—აზიას, 1 აფრიკას, 1 — ჩრდილოეთ, ცენტრალურ ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებს, ე. ი. სულ — 18. დანარჩენი 6 პრეტენდენტი უნდა გამოვლინდეს 12 ნაკრები გუნდის დამატებით ტურნირში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ 4 გუნდი ევროპიდან, 2 — აზიიდან, 2 — აფრიკიდან, 1 — სამხრეთ ამერიკიდან, 1 — ოკეანიიდან და 2 — ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებიდან. ეს 12 გუნდი უნდა დაიყოს 3 ჯგუფად (4-4 თითოეულში) და 2-2 გამარჯვებული ყოველი ჯგუფიდან მიიღებს დამატებით ადგილებს ფინალში.

პრეზიდენტის ეს ახალი პროექტი, როგორც ვთქვით, არსებითად განსხვავდება ადრინდელისგან. რა თქმა უნდა, ამ ვარიანტის მიხედვით აზიისა და აფრიკის ქვეყნებს, რომლებსაც ადრე დამატებითი ადგილები აღუთქვეს, წარმატების რეალური შანსი თითქმის არა აქვთ. როგორც ყოველგვარი კომპრომისი, იგი არასრულფასოვანი გამოდგა და ვერც ჰპოვა მხარდამჭერი მადრიდში. უმეტესობისთვის ცხადი შეიქნა, რომ ავალანჟის ეს პროექტი საჭიროებს დეტალურ განხილვას, ვინაიდან რეფორმამ შეიძლება ძირეული ცვლილებები მოახდინოს მსოფლიო ჩემპიონატების სისტემაში ისე, რომ ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუტანოს ვერავის. ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა პ. პორტამ თქვა, რომ სიახლეები უსარგებლოა და მხოლოდ გაართულებს გათამაშების ჩატარების სიძნელეებს. მანვე განაცხადა, რომ ფიფა-ს პრეზიდენტმა სიახლეების დაწესების მხრივ მხარდამჭერა ვერ ჰპოვა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორთაგან. უნდა მხედველობაში იქნას მიღებული, რომ გართულდება ფინანსური პრობლემაც, ვინაიდან ხარჯები გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე შემოსავალი, ამას გარდა, მნიშვნელოვნად დაქვეითდება მსოფლიო პირველობის ფინალის საერთო დონე.

იუპი-ს სააგენტო იუწყება, რომ ჟ. ავალანჟს თათბირები ჰქონდა სხვადასხვა კონფედერაციების წარმომადგენლებთან, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია.

უცხოეთის საფეხბურთო მიმომხილველები ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშებასთან დაკავშირებული ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების დიდი ხნით გადადება არ შეიძლება, ვინაიდან შეჯიბრების ფინალი დანიშნულია 1982 წლის 28 ივნისისთვის, შესარჩევი თამაშები კი უნდა დაიწყოს ფინალამდე 18 თვით ადრე. საკითხის გაჭიანურება პრაქტიკულად ნიშნავს მის გადადებას განუსაზღვრელი დროით.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონატები, გუნდები, ლიდერები

ესპანეთი

მადრიდის „რეალი“ IX ტურში ვიგოში ფრეს (2:2) დასჯერდა „სელტასთან“ და 14 ქულა აქვს. ლიდერს კვალში ჩაუდგა ბილბაოს „ატლეტიკო“, რომელმაც ალიკანტეში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ადგილობრივი „ჰერკულესი“ და 13 ქულა მოაგროვა. 11-11 ქულა აქვთ „ბარსელონას“ და „სპორტინგს“ (ხიხონი).

ჯერჯერობით უფერული შედეგები აქვს „ვალენსიას“, თუმცა აქ კემპესი და ბონჰოფი თამაშობენ. IX ტურში „ვალენსია“ დამარცხდა მადრიდში „ატლეტიკოსთან“ (1:2) და 9 ქულით X ადგილზეა.

შოტლანდია

12 ტურის შემდეგ 15 ქულით წინ არის „დანდი იუნაიტედი“. XII ტურში იგი სტუმრად დამარცხდა „აბერდინთან“ (0:1), მაგრამ მაინც ლიდერობს. 13-13 ქულა აქვთ „აბერდინს“, „სელტიკს“ (გლაზგო), ედინბურგის „ჰიბერნიენს“ და „პარტიკ თისლის“.

ბელგია

11 ტურის შემდეგ ლიდერობს ბრიუსელის „ანდერლეხტი“. მას 15 ქულა აქვს. განვლილ ტურში იგი საკუთარ მინდორზე ფრეს (1:1) დასჯერდა პირველი ლიგის დებიუტანტ „ვატერშეისთან“.

14-14 ქულა მოაგროვეს „ბევერენ-ვაასმა“ (ერთი გამოტოვებული მატჩი), „ანტვერპენმა“ და „ვატერშეიმ“. მხოლოდ VIII ადგილზეა ჩემპიონი — „ბრიუგე“, რომელმაც 11 ტურის შემდეგ სულ 12 ქულა მოაგროვა.

ავსტრია

ჩემპიონი — ვენის „აუსტრია“ სულ უფრო უკან იტოვებს დანარჩენ მეტოქეებს. XII ტურში მან მოუგო ვენის „ადმირა-ვაკერს“ — 1:0 და 12 თამაშის შემდეგ 17 ქულა მოაგროვა. 14-14 ქულა აქვთ ვენის „რაპიდს“, ლინცის „ვოესტს“ და პირველი ლიგის დებიუტანტს, ზალცბურგის „აუსტრიას“.

იტალია

VI ტურის ცენტრალური მატჩი გაიმართა ტურინში. ჩემპიონმა — „იუვენტუსმა“, რომელიც აქამდე საკმაოდ სუსტად თამაშობდა, პირველი მარცხი აგემა (1:0) ლიდერს, „მილანს“, რომელმაც ამის შემდეგ დაკარგა თავისი წამყვანი მდგომარეობა.

6 ტურის შემდეგ ლიდერობს პროვინციული კლუბი „პერუჯა“ — 10 ქულა. 9 ქულა აქვს „მილანს“, 8-8 — „ინტერსა“ და „ტორინოს“,

შვეიცარია

XIII ტურში ციურიხში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „გრასჰოპერსი“ და „ციურიხი“. ფრე — 1:1. „სერვეტმა“ საკუთარ მინდორზე დიდი ანგარიშით 4:0 დაამარცხა „ჩიასო“.

13 ტურის შემდეგ 18-18 ქულით წინ არიან „სერვეტი“ და „სენტ-გალენი“.

საფრანგეთი

18 ტურის შემდეგ კვლავინდებურად წინაა სტრასბურგის „რესინგი“ — 27 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი. „მონაკომ“ შინ მოუგო „პარი სენ-ჟერმენს“ — 8:1 და 24 ქულით II ადგილზეა. „სენტ-ეტიენი“ მას 2 ქულით ჩამორჩება.

რეგბი

ერთი მოგებით 3 ქულა

საბჭოთა ნაკრებმა რომის სტადიონ „ფლამინიოზე" იტალიის გუნდთან გამართა ევროპის ჩემპიონატის მორიგი, II ტურის შეხვედრა, დაამარცხა მეტოქე — 11:9 (7:0) და ახლა მას 4 ქულა აქვს. საქმე იმაშია, რომ კონტინენტის პირველობის დებულებით, გამარჯვებულ გუნდს 3 ქულა ეწერება, ხოლო დამარცხებულს — 1 (ფრეს შემთხვევაში — 2). როგორც ცნობილია, ჩვენმა რეგბისტებმა ადრე პარიზში წააგეს საფრანგეთის ნაკრებთან (იგი კონტინენტის თორმეტგზის ჩემპიონია).

საბჭოთა სპორტსმენებს ოთხი ქულა აქვთ და ჩასატარებელი დარჩათ კიდევ სამი მატჩი: 6 მაისს შინ რუმინეთის გუნდთან, 13 მაისს პოლონეთში ადგილობრივ ნაკრებთან და 20 მაისს უმასპინძლებენ ესპანეთის რეგბისტებს, ჩემპიონატი ერთ წრედ ტარდება.

ჭიდაობა

თასი — უკრაინის გუნდს

საქართველოს ნაკრები მესამეა

ალმა-ათაში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობის ფავორიტად სპეციალისტებს მიაჩნდათ რუსეთის ფედერაციის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში ბევრი სახელოვანი მოჭიდავე გამოდიოდა, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად თასი უკრაინის გუნდმა დაისაკუთრა. საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზეა. შემდეგ მოდიან მოსკოვისა და ყაზახეთის გუნდები.

განვლილი შეჯიბრება ხალხთა სპარტაკიადის წინ რეზერვების კიდევ ერთ სერიოზულ დათვალიერებას წარმოადგენდა.

მოტოსპორტი

„მზიური" ჩემპიონია

ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი მოტობურთში. პირველობისათვის იბრძოდა, თბილისის, ქუთაისის, ახმეტისა და თელავის 6 კოლექტივი.

როგორც ცნობილია, მოტობურთი სპორტის ტექნიკური სახეობების საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში შედის. დოსააფელები კი სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე გარკვეულ კოეფიციენტს იძლევიან, ამიტომაც იყო, რომ გუნდები თავგამოდებით იბრძოდნენ, ცდილობდნენ თავიანთი ოსტატობა ეჩვენებინათ და საქართველოს ნაკრებში მოეპოვებინათ ადგილი.

საბოლოოდ რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა თბილისის „მზიური", რომლის შემადგენლობაში არიან თავდამსხმელები — ლ. ნარიკაშვილი, ტ. მაზანაშვილი, ა. მარუშაშვილი, მცველები — ტ. ჩიქვანაიძე, გ. გავრილოვი, ვ. მაისურაძე და მეკარე ი. ფაცია (გუნდის მწვრთნელი ნ. შონია).

II ადგილი წილად ხვდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს „პოლიტექნიკოსს", III ადგილზე გავიდა თელავის „ალაზანი".

ტურნირის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები, რომელიც „ივერიის" სახელით სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში „ბ" კლასის გუნდებს შორის იასპარეზებს.

ვ. შვანგირაძე,
დოსააფის თბილისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

როგორც ვიუწყებოდით, ქალთა VIII საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებული სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდი სამშობლოში დაბრუნდა. სურათზე, რომელიც მოსკოვში შერემეტიევოს აეროპორტშია გადაღებული, აღბეჭდილი არიან (მარცხნიდან) ქალთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი, ოსტატი ი. კოტკოვი, გუნდის წევრები — დიდოსტატები ნანა ალექსანდრია, მსოფლიოს ექს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, მსოფლიოს ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე და ელენე ახმილოვსკაია

ვ. კუტირევის ფოტო.
(„სოვეტსკი სპორტი").

იმსჯელეს ხელბურთის განვითარების საკითხებზე

მოსკოვში გაიმართა ხელბურთის საკავშირო ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია. მომხსენებელმა — ხელბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარემ, საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვ. კრივცოვმა და კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს სპორტის ამ სახეობის განვითარების პერსპექტივებზე, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებსა და სხვა საკითხებზე.

ხელბურთის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ვ. კრივცოვი, მოადგილეებად — ა. კოპილოვი, გ. შარაშიძე და ა. ბაკუნი.

ჰააგის ყინულზე

ჰოლანდიის ქალაქ ჰააგაში მიმდინარე შეჯიბრებაში გაიმარჯვა ახლახან შექმნილმა სპორტულმა წყვილმა — ი. ვორობიოვამ და ი. ლისოვსკიმ (ლენინგრადი). ყინულზე ცეკვის ასპარეზობაში II ადგილზე გავიდნენ სვერდლოვსკელები ნ. კარამიშევა და რ. სინიცინი. მათ წინ გაუშვეს ჩეხოსლოვაკიელების — ლ. რჟეხაკოვასა და ს. დრასტიხის დუეტი.

ერთეულთა სრიალში გაიმარჯვა შვეიცარიელმა დ. ბილმანმა. ლენინგრადელი ნ. სტრელკოვა III ადგილზე გავიდა. (საკდესი).

„პატიოსანი თამაშისთვის"

პრაღა. ჩეხოსლოვაკიაში ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით შექმნილმა „კლუბ ფეირ-პლეიმ" უკვე ასზე მეტი ლაურეატი დაასახელა. 5 წლის წინ ჩეხოსლოვაკიის რადიოს ახალგაზრდულმა რედაქციამ დაიწყო სპორტში „პატიოსანი თამაშის" პროპაგანდა, რომელსაც მხურვალედ დაუჭირა მხარი ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა. მათი თაოსნობით დაწესდა „ოქროს მედალი", რომლითაც რეგულარულად აჯილდოვებენ ცალკეულ ათლეტებს ან გუნდებს სპორტში რაინდული საქციელისთვის.

სამთო-მოთხილამურეთა სკოლა

ბერლინი. როგორც კი თოვლით დაიფარება ფიხტელბერგის ფერდობები, გდრ-ის სათხილამურო სპორტის მოყვარულები ჩამოდიან

მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში

აქ — ობერვიზენტალის სკოლაში. მისი არსებობის 10 წლის მანძილზე გამოცდილმა მასწავლებლებმა სამთოსათხილამურო სპორტის „ანბანი" 20000-მდე კაცს ასწავლეს. სკოლას ხელმძღვანელობს წარსულში ცნობილი სლალომისტი კარლ ზიუსი.

პირადი მაგალითით

სოფია. ბულგარეთში ბევრი იცნობს ექიმ ძმებს — ბურიანს, ილიასა და ლიუდმილ კალჩევებს, რომლებიც ცურვით არიან გატაცებული. წლეულს მათ ერთად მეთვრამეტედ გადაცურეს დუნაი. ძმების პაციენტებს სჯერათ, თუ რა სარგებლობა მოაქვს სპორტს ადამიანისთვის. (საკდესი).

ლათინურის ნაცვლად... ჭადრაკი

შვეიცარიის კანტონ ვალისის სკოლების პროგრამაში ერთი არსებითი ცვლილება მოხდა. აქ სავალდებულო ლათინური ენის ნაცვლად ჭადრაკს ასწავლიან.

მასწავლებლების ვექილმა, რომელსაც ავტორიტეტული პედაგოგები და ფსიქოლოგები მიემხრნენ, კანტონის განათლების ორგანოების ხელმძღვანელებს დაუმტკიცა, რომ „ჭადრაკი ხელს უწყობს ლოგიკურ აზროვნებას, ავითარებს ანალიზისა და სინთეზის უნარს, აკაჟებს ხასიათსა და ნებისყოფას" — ერთი სიტყვით, ყველა ის ღირსება აქვს, რაც ოდესღაც ლათინურ ენას მიეწერებოდა.

„მთების მეფის" რეკორდები

იაპონიის ერთ-ერთი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორმა კინძი იმანისიმ საინტერესო რეკორდი დაამყარა. რამდენიმე მეგობართან ერთად იგი ნარას პრეფექტურაში 1800 მეტრის სიმაღლის მთა სიაკაგატაკეზე ავიდა.

ეს უკვე მეათასე მთაა, რომელიც დაიპყრო იაპონიის ალპიური კლუბის ყოფილმა პრეზიდენტმა. „მთების მეფე" კინძი იმანისი 75 წლისაა.

ველოსიპედებით მსოფლიოს გარშემო

20 წლის მაი ბრიტ იოჰანსონი და 22 წლის ივარ ტენესენი 1977 წლის ივნისში დანიიდან ველოსიპედებით გაემგზავრნენ, რათა მსოფლიოსთვის შემოევლოთ.

სექტემბრის ბოლოსთვის მოგზაურებმა მსოფლიოს 20 ქვეყანაში 19 ათასი კილომეტრი გაიარეს. მათ კიდევ დარჩათ 16 ათასი კილომეტრი ავსტრალიის გზებზე, რის შემდეგ გემით პანამაში გადავლენ, აშშ-ს ველოსიპედებით გადაკვეთენ და ატლანტის ოკეანით ევროპაში დაბრუნდებიან.

ყველაზე „მაღალ დონეზე"

ისეთ მაღალ ადგილას, როგორიცაა ფრანგული კურორტი ვალ-ტორანი (3100 მ) ჭადრაკის ისტორიაში პირველად გაიმართა საერთაშორისო ტურნირი, რომლის თაოსანი იყო აქ არსებული მაღალმთიანი სპორტული ბანაკის დირექცია.

შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ცნობილმა ჩეხოსლოვაკიელმა დიდოსტატმა იან სმეიკალმა საზეიმო დახურვისას თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ ვალ-ტორანში თამაში მას დაეხმარა ნამდვილი ალპინისტი გამხდარიყო. მაგრამ სმეიკალის, როგორც ალპინისტის სახელი ცოტა არ იყოს შეიბღალა, როდესაც საპატიო კვარცხლბეკზე ასვლისას დაეცა.

მხიარული ფანჯრით



— თუ შერკინებაა, „შერკინება" იყოს...

ა. ოქროპირიძის ნახატი.

„სპორტლოტო"

18 ნოემბერს მოსკოვში მოეწყო „სპორტლოტოს" მორიგი, 46-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო" 6—49-დან:

პირველი: 5 (ბადმინტონი), 14 (ფრენბურთი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 37 (სროლა), 44 (ფიგურული ციგურაობა), შეღავათიანი ბურთულა — 49 (შაში).

მეორე: 9 (ჭიდაობა), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 30 (აფროსნობა), 32 (წყალში ხტომა), 41 (ჩოგბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 31 (ცურვა).

„სპორტლოტო" 5—36-დან:

პირველი: 1 (კალათბურთი), 2 (ბიატლონი), 7 (ველოტრეკი), 8 (საგზატკეცილო ველორბოლა), 11 (ტანვარჯიში).

მეორე: 3 (ბობსლეი), 8 (საგზატკეცილო ველორბოლა), 10 (ფრენბურთი), 23 (წყალში ხტომა), 35 (ბალახის ჰოკეი).

ბრაკონიერები ამერიკიდან

„კენია ბრალს სდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ ქვეყნის მძლეოსნებზე ბრაკონიერობისათვის" — ასეთი სათაურით დაიბეჭდა ყოველთვიურ „აფროსპორტში" ცნობილი კენიელი სპორტული მიმომხილველის ხ. ვეპუკჰულუს სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ კონტინენტის წამყვან მძლეოსნურ სახელმწიფოში — კენიაში ყოველწლიურად იბადებიან სარბენი ბილიკების „ვარსკვლავები", რომლებიც მსოფლიოს რეკორდებს ამყარებენ და საერთაშორისო სარბიელზე გამარჯვებებს აღწევენ.

მაგრამ, — აღნიშნავს ავტორი, — კენიის სპორტის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ეს „ვარსკვლავები" ხშირად სამშობლოდან შორს, ყველაზე მეტად კი აშშ-ში, მიდიან ხოლმე. ისინი ამ ქვეყნის ბიზნესმენთა მსხვერპლნი ხდებიან.

კენიელი სპორტული ტალანტების გადაბირება, — აღნიშნავს ავტორი, — დიდი დანაკარგია არა მარტო ამ ქვეყნის, არამედ აფრიკის სხვა სახელმწიფოებისთვისაც.

კენიელები, რომლებიც ამერიკის უნივერსიტეტებში სწავლობენ, შინ გამართულ შეჯიბრებებში არ გამოდიან, თანამემამულეებს ვერ გადასცემენ გამოცდილებას, ამიტომაც ახალგაზრდა კენიელ მორბენლებს სწავლა უხდებათ არა ცნობილ თანამემამულე სპორტსმენთა მაგალითებზე, არამედ გაზეთების იმ ამონაჭრების დახმარებით, რომლებშიც მათ მიერ საზღვარგარეთ მოპოვებულ წარმატებებზეა ლაპარაკი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

წყალბურთი. საქართველოს პირველობა. რესპუბლიკის სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი. დასაწყისი 14 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-11, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 12173